საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
სახაზინო სამსახური

ბრძანება № 42

29/11/2013

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის
საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახურში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 მაისის #313 ბრძანების მე-20 მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის №238 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის დებულების“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ა) ზურაბ თოლორდავა - სახაზინო სამსახურის აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ანალიზის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
ბ) სოფიო ნემსაძე - სახაზინო სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
გ) ლევან თოდუა - სახაზინო სამსახურის სახელმწიფო სესხების და სადეპოზიტო ოპერაციების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
2. კომისიის მდივნად განისაზღვროს თამარ პერანიძე - სახაზინო სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი. კომისიის მდივნის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სახაზინო სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს ერთ-ერთი მოხელე.

ცოტნე ყავლაშვილი

სახაზინო სამსახურის უფროსი